 სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

Legal Entity of Public Law-Gori State Teaching University

აკადემიური საბჭო

დადგენილება № 09-17

23 03 2018წ.

გორი

„სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წესის, სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესისა და სამაგისტრო ნაშრომის თავფურცელის დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2016 წლის 30 აგვისტოს N09-55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N125/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ქ" ქვეპუნქტისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის (22.03.2018. N322352) სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. „სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წესის, სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესისა და სამაგისტრო ნაშრომის თავფურცელის დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2016 წლის 30 აგვისტოს N09-55 დადგენილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების:

ა) მე-2 პუნქტით დამტკიცებული „სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი" (დანართი 2) ჩამოყალიბდეს ამ დადგენილების დანართი 1-ის შესაბამისად;

ბ) მე-3 პუნქტით დამტკიცებული სამაგისტრო ნაშრომის თავფურცელი (დანართი 3) ჩამოყალიბდეს ამ დადგენილების დანართი 2-ის შესაბამისად;

2. კანცელარიის უფროსს დაევალოს ეს დადგენილება განათავსოს ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას;

3. ეს დადგენილება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

4. ამ დადგენილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (თბილისი, უზნაძის #52), შემდეგ გორის რაიონულ სასამართლოში (გორი, ჯორბენაძის #30).

რექტორი გიორგი სოსიაშვილი

დანართი 1

სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი

1. მაგისტრანტის ხელმძღვანელი

1. მაგისტრანტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორის ან კანონმდებლობით მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალი ან მოწვეული სპეციალისტი;
2. მაგისტრანტს საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ჰყავდეს ერთი ან მეტი თანახელმძღვანელი, რომელსაც აქვს საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება;
3. ხელმძღვანელი უნდა ეწეოდეს აქტიურ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და უნდა ჰქონდეს გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც შეესაბამება მაგისტრანტის სამაგისტრო ნაშრომის ზოგად თემატიკას/მიმართულებას;
4. ხელმძღვანელის ფუნქციები და მოვალეობებია:
   - დაეხმაროს სტუდენტს სამაგისტრო ნაშრომის თემის შერჩევაში და კვლევის გეგმის შედგენაში;
   - სტუდენტთან რეგულარული საკონსულტაციო და ინდივიდუალური მუშაობის ფარგლებში, რომელთა სიხშირე შეესაბამება პროგრამისა და საკვლევი თემის სპეციფიკას, ეტაპობრივად შეამოწმოს სტუდენტის მუშაობის პროცესი და მისცეს მას შესაბამისი რჩევები და რეკომენდაციები, მათ შორის, კვლევის დიზაინის და პროექტის მენეჯმენტის, თეზისის/სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის წერის პროცესის, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირების პროცესის, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესის, სამეცნიერო სტატიების რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნების თაობაზე;
   - აწარმოოს მაგისტრანტის ხელმძღვანელობის პროცესის ამსახველი დოკუმენტები;
   - სამაგისტრო ნაშრომის დასრულების შემდეგ, წინამდებარე წესის მე-4 პარაგრაფის შესაბამისად, მოამზადოს და ფაკულტეტის საბჭოს წარუდგინოს დასკვნა მაგისტრანტის საჯარო დაცვაზე დაშვების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით.

2. სამაგისტრო ნაშრომის თემის შერჩევისა და დამტკიცების პროცედურა

1. სამაგისტრო ნაშრომის თემა უნდა შეესაბამებოდეს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას;
2. სამაგისტრო ნაშრომის თემის შერჩევისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს რეალურად ხელმისაწვდომი სამეცნიერო-ტექნიკური ბაზების შესაძლებლობები;
3. სამაგისტრო ნაშრომის თემას შესაბამისი სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.

3. სამაგისტრო ნაშრომის გაფორმება

1. სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურაში იგულისხმება:

ა) თავფურცელი;

ბ) ანოტაცია;

გ) შინაარსი (სარჩევი);
დ) შესავალი;
ე) ტექსტის ძირითადი ნაწილი;
ვ) დასკვნა;
ზ) გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა;
თ) საილუსტრაციო მასალა.
2. სამაგისტრო ნაშრომის არქიტექტონიკა:
ა) **თავფურცელი** - წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის პირველ გვერდს და იგი უნდა შეივსოს დანართში მოყვანილი ნიმუშის მიხედვით;
ბ) **ანოტაცია** - მოკლედ და გასაგებად უნდა ასახავდეს სამაგისტრო ნაშრომის თემის აქტუალობას, მიზნებსა და ამოცანებს, კვლევის საგანსა და ობიექტს, ძირითად შედეგებს და სიახლეს. ანოტაცია არ უნდა აღემატებოდეს 150 სიტყვას. ანოტაცია უნდა იყოს დაწერილი ქართულ ენაზე და თარგმნილი ინგლისურ ენაზე. ანოტაციის ინგლისურენოვანი ვარიანტი უნდა შეიცავდეს ავტორის ინიციალებს, გვარს, თემის დასახელებას. ანოტაცია ერთ გვერდზე უნდა იყოს განთავსებული და წარმოდგენილი თავფურცელის მომდევნო ფურცელზე.
გ) **შინაარსი** (სარჩევი) - ასახავს სამაგისტრო ნაშრომის სრული ტექსტის ყველა თავისა და პარაგრაფის ზუსტ დასახელებას თანმიმდევრულად, მათი დასაწყისი გვერდების ნომრების მითითებით მარჯვენა მხარეს. გვერდებს ნუმერაცია უნდა დაეწეროს შინაარსის გვერდის მომდევნო გვერდიდან თავფურცელის, ანოტაციისა და შინაარსის გვერდების რაოდენობის გათვალისწინებით.
დ) **შესავალი** - წარმოადგენს ნაშრომის ზოგად ნაწილს, რომელშიც უნდა აისახოს საკვლევი თემის აქტუალობის დასაბუთება, მიზნები და დასმული ამოცანები, საკვლევი საგნისა და ობიექტის ფორმულირება, კვლევისათვის გამოყენებული მეთოდები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.
ე) **ტექსტის ძირითადი ნაწილი** - როგორც წესი, იყოფა თავებად და პარაგრაფებად, პარაგრაფი შეიძლება დაიყოს ე/წ ქვეპარაგრაფებად და ა.შ. თავები უნდა გადაინომროს თანმიმდევრულად და დასახელებებისაგან გამოიყოს წერტილებით. პარაგრაფს წინ დაესმის თავისა და პარაგრაფის ნომრები, რომლებიც ასევე წერტილებით არის ერთმანეთისაგან გამოყოფილი. თავის დასახელება უნდა დაიწეროს 16-იანი ზომის შრიფტით.
ვ) **დასკვნა** - წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველ ნაწილს, რომელიც მოკლედ და კონკრეტულად პასუხობს ყველა იმ დასმულ ამოცანას, რომელიც მაგისტრანტს გააქვს საჯარო დაცვაზე. დასკვნაში აისახება მიღებული მეცნიერული შედეგების თეორიული მნიშვნელობა, პრაქტიკული ღირებულება და პერსპექტიული გამოყენების სფერო.
ზ) **გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა** - წარმოდგენილი უნდა იქნეს ნაშრომში მოცემული განხილვის მიხედვით ან ანბანური თანმიმდევრობით (უკანასკნელ შემთხვევაში, ჯერ უნდა მიეთითოს გამოცემები ქართულ ენაზე, ხოლო შემდეგ – უცხოურ ენებზე). დაუშვებელია გამოყენებული ლიტერატურის ნუსხაში ისეთი ნაშრომის შეტანა, რომელიც არ არის მოხსენიებული სამაგისტრო ნაშრომში. სამეცნიერო ნაშრომის მითითებისას უნდა დასახელდეს ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, ნაშრომის სახელწოდება, სამეცნიერო ჟურნალის სახელწოდება, წელი, ტომი, ნომერი,

აგრეთვე სრული ვებ-მისამართი (ელექტრონული მედიის შემთხვევაში). წიგნის ან მონოგრაფიის მითითებისას უნდა დასახელდეს სახელწოდება, ავტორის (ავტორები) გვარი და ინიციალები, გამომცემლობა, გამოცემის წელი.
თ) **საილუსტრაციო მასალა** - (სურათები, ნახაზები, დიაგრამები, ჰისტოგრამები, ცხრილები) უნდა იყოს გადანომრილი. ამავე დროს, თითოეულ მათგანს ესაჭიროება განმარტება, თუ რას წარმოადგენს იგი, რომელ სიდიდეებს შორის დამოკიდებულებაა მასზე გამოსახული და სხვ.
3. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენაზე.
4. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისა და სამაგისტრო ნაშრომის თემის თავისებურებებიდან გამომდინარე, ხელმძღვანელთან და ფაკულტეტის დეკანთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე დასაშვებია სამაგისტრო ნაშრომის გაფორმება და დაცვა უცხოურ ენაზეც. უცხოურ ენაზე წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომს თან უნდა ახლდეს დამატებითი ვრცელი (არანაკლებ 3 გვერდი) ქართულენოვანი ანოტაცია.
5. სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების დროს დაცული უნდა იყოს შემდეგი ნორმატივები:
ა) ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს A4 ზომის სტანდარტულ ფურცელზე;
ბ) შრიფტის სახე- Sylfaen;
გ) შრიფტის ზომა 12;
დ) სტრიქონებს შორის მანძილი - 1,5
ე) ფურცლის გვერდზე ტექსტის მინდორი: მარცხენა - 3სმ, მარჯვენა - 1სმ, ზემოთ და ქვემოთ - 2,5სმ.
ვ) ნაშრომის მოცულობა - არაუმეტეს 80 გვ. დანართების გარეშე;
ზ) ნაშრომი უნდა იყოს ყდაში აკინძული A-4 ფორმატით.
თ) დამატებით მოთხოვნებს სამაგისტრო ნაშრომის არქიტექტონიკისა და მოცულობის შესახებ განსაზღვრავს ფაკულტეტი.

4. სამაგისტრო ნაშრომის დაცვისა და შეფასების პროცედურები

1. მაგისტრანტი სრულყოფილად გაფორმებულ, აკინძულ და ყდაში ჩასმულ სამაგისტრო ნაშრომს და ნაშრომის სრულ ელექტრონულ ვერსიას (CD) ხელმძღვანელის დასკვნის თანხლებით წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს მის მიერ დადგენილი წესებისა და ვადების შესაბამისად.
2. ხელმძღვანელის დასკვნაში აუცილებლად უნდა იყოს დაფიქსირებული:
- სამაგისტრო ნაშრომის თემის აქტუალობა;
- ნაშრომის მოკლე დახასიათება;
- ნაშრომში წარმოდგენილი მეცნიერული სიახლე და მისი პრაქტიკული ღირებულება;
- ნაშრომის შინაარსობრივი შესაბამისობა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან;
- ხელმძღვანელის რეკომენდაცია (დადებითი ან უარყოფითი) მაგისტრანტის საჯარო დაცვაზე დაშვების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით.

3. იმ შემთხვევაში, თუ ხელმძღვანელის დასკვნაში რეკომენდაცია მაგისტრანტის საჯარო დაცვაზე დაშვების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით დადებითია, სტუდენტი დაიშვება სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე.

4. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის რეგლამენტი განისაზღვრება 10-15 წუთით სამაგისტრო საკვალიფიკაციო კომისიის (შემდგომში - კომისია) გადაწყვეტილების შესაბამისად.

5. კომისიის თავმჯდომარე (ან მისი მოადგილე) დამსწრე საზოგადოებას აცნობს მაგისტრანტის ვინაობას, მის აკადემიურ მიღწევებს, სამაგისტრო ნაშრომის თემას და ხელმძღვანელის დასკვნას. ამის შემდეგ სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა მაგისტრანტს.

მაგისტრანტის მოხსენებაში მოკლედ და მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული და მითითებული სამაგისტრო ნაშრომის მიზნები, ამოცანები, არსებული მოსაზრებები დასმული პრობლემის შესახებ. უფრო ვრცლად უნდა იქნეს წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს ანალიზი. ბოლოს, კონკრეტულად ჩამოყალიბდეს მიღებული დასკვნები, მათი თეორიული მნიშვნელობა და პრაქტიკული ღირებულება.

მოხსენების დამთავრებისთანავე მაგისტრანტი პასუხობს შეკითხვებს, რის შემდეგაც იმართება დისკუსია, რომელშიც კომისიის წევრებთან ერთად მონაწილეობას იღებენ დაინტერესებული პირები დამსწრე საზოგადოებიდან. ამით სამაგისტრო ნაშრომის დაცვა მთავრდება.

6. კომისიის ერთ სხდომაზე შესაძლებელია ჩატარდეს რამდენიმე სამაგისტრო ნაშრომის დაცვა.

7. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცედურის დასრულების შემდეგ კომისია იწვევს დახურულ სხდომას, რომელზეც კომისიის თითოეული წევრი აფასებს თითოეული მაგისტრანტის სამაგისტრო ნაშრომს და ამ ნაშრომის პრეზენტაციას სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში წარმოდგენილი სქემის შესაბამისად, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს შედეგის შეფასებისთვის რელევანტურ მეთოდებსა და კრიტერიუმებს.

8. კომისიის საბოლოო შეფასება თითოეული მაგისტრანტისათვის განისაზღვრება კომისიის თითოეული წევრის მიერ ამ მაგისტრანტისათვის მინიჭებულ შეფასებათა საშუალო არითმეტიკულით შეფასების შემდეგი სისტემის შესაბამისად:

ა) დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და მას უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და სტუდენტი კარგავს იგივე სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

9. სამაგისტრო საკვალიფიკაციო კომისიის დახურული სხდომის დამთავრების შემდეგ კომისიის თავმჯდომარე საჯაროდ აცხადებს სამაგისტრო ნაშრომის შეფასებას.

დანართი 2

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მაგისტრანტის სახელი, გვარი

სამაგისტრო ნაშრომის სახელწოდება

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია
_____ ფაკულტეტზე
_____მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: სახელი, გვარი,
თანამდებობა

გორი
2018